საქართ. მუშარეხენე სოც.-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტია — მთავარ კომიტეტის ორგანო

# ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა" თვიურად ღირს 120,000 მ. სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე უკანასკნელზე. კანტორა ღიაა დილის 8—2 ს. რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 11—12 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი სასახლის ქუჩა № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 10—34.

ტფილ. ფასი 5000 მან. ▭ პროვინც. 6000 მან.

№ 247

1922 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

---

კვირას, ივლისის 16, ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში გადახდილ იქნება წლის წირვა ვერაგულად მოკლულ

## დიმიტრი (ტიტო) დავითის ძე ფარესიშვილისა.

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავებსა და ნაცნობებს, განსვენებულის დედა ნინო ფინაზის ასული, ძმა არჩილი და რძალი თამარი შვილებით. პანაშვიდი და ძეგლის კურთხევა ნაშუადღევის პირველ საათზე.

---

საქართველოს მემარცხენე სოციალისტ ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტიის მთავარი კომიტეტი ამით აუწყებს ამხანაგებს, რომ კვირას, ივლისის 16, პირველ საათზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი ტრაგიკულად დაღუპულ ამხანაგის

## ტიტო ფარესიშვილის

საფლავზე (ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის გალავანში)

---

ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭო აცხადებს, რომ ამა ივლისის 15-ს ღამით ტრაგიკულად დაიღუპა რევოლიუციის საუკეთესო მებრძოლი ძვირფასი ამხანაგი

## კამო |სიმონ| ტერ-პეტროსოვი

დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოქვეყნებული.

---

გეურქ და ლიზა ბახჩიევები, ჯავაირა ხუტულაშვილი, სანდუხტა ნერსესოვი, არუსიაკ ცინცაძე და ლიუსია, პეტროსოვის ასული, თავზარდაცემულნი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებსა და ამხანაგებს—პირველნი დისწულის, ხოლო მეორენი ძვირფასი ძმის

## კამო |სიმონ| ტერ-პეტროსოვის

ტრაგიკულად სიკვდილს ამა 1922 წ. ივლისის 14-ს ღამით. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

---

ტფილისის ქალაქის მუშათა და წითელ არმიელთა საბჭოს აღმასკომი და საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტი ამით აუწყებს, რომ ტრაგიკულად გარდაიცვალა ამხანაგი

## კ ა მ ო

მდივანი მესხი.

---

ორშაბათს, ივლისის 17-ს, საღამოს 6 საათზე, სახალხო სახლის შენობაში შესდგება

## ტფილისის ქალაქის 2-ე საბჭოს პლენუმის სხდომა

დღის წესრიგი:

1. გერმანიის ამბების შესახებ.
2. პრეზიდიუმის განცხადება.
3. მიმდინარე საქმეები.

საკითხების სერიოზულობის გამო, ყველა წევრების გამოცხადება სავალდებულოა.

მდივანი: მესხი.

---

# ჰააგის მუშაობა

როგორც ვიცით, გენუას კონფერენციაზე არ იქმნა მიღწეული შეთანხმება საბჭოთა რუსეთსა და ბურჟუაზიულ სახელმწიფოებს შორის. გენუას კონფერენციას არ მიუღია არც ერთი დადებითი დასკვნა იმ საპირბოროტო და მნიშვნელოვან საკითხებზე, რომელთა გადაწყვეტისაგან არის დამოკიდებული ევროპა-რუსეთის ეკონომიური კრიზისიდან გამოყვანა.

ორივე მხარეს, როგორც საბჭოთა რუსეთს, ისე ევროპის კაპიტალიზმის თანამედროვე ფალავნებს, სურდათ საერთო ენის გამონახვა, შესახები და რეალური დირებულების შედეგების მიღწევა. მოწინააღმდეგე მხარეებს ობიექტური პირობები დაუენებით უკარნახებდა საერთაშორისო ეკონომიური კრიზისიდან გამოწვეული ქრილობის დროებით მაინც მოშუშებას, მისი ტკივილების შენელებას მორიგების გზით.

მაგრამ მიუხედავად ორივე მოწინააღმდეგის ერთი ინტერესისა, რომ როგორმე გამონახულიყო საერთო შემარიგებელი პლატფორმა, გენუას კონფერენცია ისე დაიშალა, რომ მან თვის საბოლოო მიზანს ვერ მიაღწია,—ვერ დაიდვა ხელშეკრულება კაპიტალისტურ ევროპასა და რევოლიუციონურს რუსეთს შორის.

რასაკვირველია, ჩვენ ეს გარემოება არ გვინდა ავხსნათ ჩვეულებრივი შაბლონური და ამავე დროს განყენებული მსჯელობით, რომ თითქოს ორ არსებითად მოწინააღმდეგე და თვისი სოციალური მდგომარეობით. დაპირდაპირებულ სახელმწიფოთა შორის არ შეიძლებოდეს დროებითი მორიგება, ერთგვარი ეკონომიურ-პოლიტიკური Modus vivendi-ს გამომუშავება.

რაღა თქმა უნდა ასეთი მსჯელობა სინამდვილიდან დაცილებულია და ისტორიაში მრავალი მაგალითები გვინახავს ჩვენი დებულების საპირისპიროდ დებულნი. მეცხრამეტე საუკუნეში არა ერთი და ორი შემთხვევა იყო ბურჟუაზიულ და ფეოდალურ სახელმწიფოთა შეთანხმებისა, თუმცა არსებითად ეს სახელმწიფონი თავის ეკონომიურ-პოლიტიკური სტრუქტურით ერთი მეორის დაუძინებელი მტრები იყვნენ. შორს რად წავიდეთ; ავიღოთ დღევანდელი შეთანხმებანი რუსეთ-გერმანიას შორის, ან კიდევ რუსეთ-ოსმალეთს შორის, რომელნიც ნათლად ადასტურებენ, რომ შეიძლება სოციალურ პოლიტიკურ მოწინააღმდეგე ძალებიც შეთანხმდენ და უშუალო შეტაკება—ბრძოლის მომენტი წინ გადასწიონ.

ამიტომ იყო საკმაო საბუთები გენუას კონფერენციაზე იმედების დამყარებისა. მაგრამ გენუას კონფერენცია დამარცხდა. რაღა თქმა უნდა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამით თვით იდეა შეთანხმების მიღწევისა კაპიტალისტურს ევროპასა და სოციალისტურს რუსეთს შორის აცა დამარცხდა საბოლოოდ, ან დიდის ხნით.

გენუას შედეგები მხოლოდ იმას გვეუბნება, რომ თვით ცხოვრების სიღრმიდან წამოყენებულმა და მომწიფებულმა მოთხოვნილებებმაც უნდა გაიარონ ერთგვარი განვითარების პროცესი სანამ ლოღიკურ დასკვნამდის მივიდოდეს.

და მართლაც ამ მხრით ორი მოწინააღმდეგე მხარის შეთანხმებისათვის გენუამ ბევრი რამ გააკეთა. ჩვენ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ გენუამ გასწმინდა ატმოსფერა და ნიადაგი შეამზადა პრაქტიკული მუშაობისათვის.

გენუა იყო შეჯიბრება ორი ძალისა, ან უკეთ დემონსტრაცია ორი ბანაკისა, რომლის გათვალისწინებისაგან იყო დამოკიდებული პრაქტიკული მუშაობის გაგრძელება შეთანხმების მოსურნე მხარეთა შორის.

გენუაში გამოირკვა, რომ რუსეთი არ სცილდება და ვერც მოსცილდება სოციალისტური სახელმწიფოს ნიადაგს, მტკიცედ დაიცავს ამ სახელმწიფოს სუვერენიტეტს და არავის ნებას არ მისცემს მის ეკონომიურ პოლიტიკური მშენებლობის პრინციპების ბურჟუაზიულ საფუძვლებზე გადასხვაფერებას. ამის და მიუხედავად იგი შესაძლებლად სცნობდა კომპრომისებზე წასვლას მის მომავალ კონტრაგენტთან მთელ რიგ ეკონომიურს საკითხებში.

ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა ხელი აიღეს, დროებით მაინც, რუსეთის შინაგან საქმეებში ჩარევაზე და ფაქტიურად შეურიგდნენ საბჭოთა რუსეთს.

გენუის კონფერენციის 19 მაისის პლენუმის სხდომაზე მიღებული იქმნა 6 მუხლი, რომელიც საფუძვლად უნდა დადებოდა ჰააგის კონფერენციის პრაქტიკულ მუშაობას.

მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთის და ბელგიის დელეგაციებმა არ მიიღეს გენუაში აღნიშნული მუხლები, ისინი იძულებულნი იყვნენ ჰააგაში უკან დაეხიათ და ლიტვინოვის ნოტას დადებითად უპასუხეს.

ამ მუხლების მიღებით ბელგია-საფრანგეთმაც აღიარა ფაქტიურად, რომ ჰააგა გენუას გაგრძელებაა და არა უკანასკნელისაგან დამოუკიდებელი ექსპერტთა კომისია.

ამრიგად თვით ყველაზე უფრო იმპერიალისტური მილიტარისტული მადის მქონე საფრანგეთ—ბელგიაც თითქოს მოითხოვენ და შეთანხმებისაკენ იხრებიან.

პირველ ხანებში უკვე ბარტყუს ისტერიკული ყვირილის ნაცვლად, ჩვენ ჰააგაში ვისმენთ შედარებით გაცილებით უფრო დამშვიდებულ კილოს საფრანგეთის დელეგატებისას. მართალია საფრანგეთის ბურჟუაზია არ მისულა საგნებით იმ დონემდე, როცა შეგვეძლო გვეთქვა—შეთანხმება, ხელშეკრულებანი მასთან უზრუნველყოფილია და ყოველგვარი მოულოდნელი შემთხვევისაგან თავისუფალია საბჭოთა რუსეთი თქო.

ჩვენ ვიცით, რომ ჰააგის მუშაობა სწარმოებს სამს უმთავრესს კომისიებში, სამი კარდინალური საკითხის გადასაწყვეტად: კრედიტის, კერძო საკუთრების და ვალების კომისიებში.

საბჭოთა რუსეთისათვის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს კრედიტის საკითხს. ორი დანარჩენი საკითხები ევროპას ბურჟუაზიამ წამოაყენა და მისი მუშაობა კონფერენციებზე ამ ორ მუხლში მოქცეული შედეგებით უნდა განისაზღვროს უმთავრესად. ამიტომ საბჭოთა დიპლომატიის დიდ გამარჯვებათ უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ მან შესძლო თავიდანვე თითქმის ცენტრალურ საკითხად გაეხადა კრედიტის საკითხი.

ჰუმანიტებას ამბობს „მატენის" გულდათუთქული კორესპონდენტი, როცა სწერს: „ლიტვინოვმა დაანგრია მოკავშირეთა დელეგატების მიერ მტკიცედ აგებული შენობაო". ანტანტა კრედიტების საკითხის მიფუჩეჩებას, მის მეორე ხარისხოვან საკითხად გადაქცევას სცდილობდა, მაგრამ საბჭოთა რუსეთმა ლიტვინოვის პირით პირველადვე კატეგორიულად განაცხადა: „თუ არ იქნება კრედიტები, მაშინ არ იქნება აგრეთვე არავითარი მოლაპარაკებაც"-ო.

საფრანგეთის დელეგაციას რეპლიკაზე გარანტიების შესახებ ლიტვინოვმა უპასუხა: „სანამდის ამ კითხვაზე პასუხს გაგცემდე, მანამ სესხის ამღები უნდა დარწმუნდეს იმაში, რომ მის მომავალ კრედიტორს, მართლაც აქვს თავის განკარგულებაში საჭირო თანხები".

და მართლაც აღნიშნული საკითხი, რამდენადაც იგი ჰააგის დელეგატებს ეხება, პრინციპიალურად დადებითად გადაჭრით უნდა ვაღიაროთ

ე. ი. რუსეთისადმი კრედიტების პრინციპიალურად მიცემის სასარგებლოდ.

საბჭოთა მთავრობის დელეგაცია მტკიცედ ადგია იმ აზრს, რომ კრედიტები უნდა მიეცეს სახელმწიფოს და არა კერძო პირებს, რასაც გენუაში ჰპირდებოდა ჩიჩერინს მისტერი ლოიდ ჯორჯი.

აგრეთვე საბჭოთა მთავრობის რწმუნებულნი ურყევად იცავდა იმ შეხედულებას, რომ მის მიერ გამოთხოვილი კრედიტები უნდა იყოს ან სახელმწიფოს ან და სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილი".

ამ რიგად კრედიტის საკითხი გადაიქცა და ეს ასეც უნდა ყოფილიყო, კონფერენციის მთავარ საკითხად და ლიტვინოვიც ჰააგის ერთ-ერთ მთავარ დირიჟორად.

30 ივნისის კრედიტების კომისიის სხდომაზე ლიტვინოვმა წამოაყენა კონკრეტიული მოთხოვნილებანი თავის მემორანდუმში და „მან საკვებით ხელსაყრელი შთაბეჭდილებანი დასტოვა". ასე რომ ჰააგის კონფერენცია თანდათანობით საქმიან ხასიათს ღებულობდა.

ლიტვინოვის მემორანდუმში აღნიშნულია მინიმუმი კრედიტისა, რაოდენობით 3 მილიარდი 224 მილიონი მანეთით ოქროთი.

ტრანსპორტის აღსადგენად ნაანგარიშევია ერთი მილიარდ 50 მილიონი მან. მრეწველობის სხვა და სხვა დარგის აღსადგენად 750 მილ. მანეთი, მიწ.-მოქმედების საჭიროებისათვის 904 მილ. მანეთი და საბანკო სისტემის აღსადგენად და მანეთის სტაბილიზაციისათვის 520 მილ. მანეთი. ეს მოთხოვნილება შედარებით მცირეა თუ კი მივიღებთ მხედველობაში იმ ნგრევითი შედეგებს, რომელიც გადაიტანა საბჭოთა რუსეთის ეკონომიურმა სხეულმა დასავლეთის ინტერვენციისაგან. რაღა თქმა უნდა 3 მილიარდ 224 მილიონი მან. ვერ აღადგენს 50 მილიარდით დირებულს ზარალს. მაგრამ აქ უმთავრესად მხედველობაშია მიღებული ის სასიცოცხლო უნარი და ეკონომიური შემოქმედების სტიქია, რომლის ნიადაგი შექმნა საბჭოთა ძალა-უფლებამ. და რომელსაც სჭირდება მხოლოდ გზის პირველი გაწმენდა;

აღნიშნული კრედიტის რაოდენობა კი საკმარისია იმისათვის, რომ რუსეთის ეკონომიურ ძარღვებში ამუშავდეს სადი და ცხოველმყოფელი სისხლი და სახელმწიფოებრივი აპარატის ხელმძღვანელობით მიიმართოს მომავალი რევოლიუციონური რუსეთის სამეურნეო აღორძინება.

მაგრამ მიუხედავად ყოველივე იმისა, რომ ჰააგის კონფერენციას გაცილებით ნაკლები სიცხარე და უფრო მეტი შერიგება—დათმობის ლტოლვა ახასიათებდა, ვიდრე გენუას, უკანასკნელმა რადიომ გადმოგვცა, რომ ჰააგას მუშაობა ქუჩაბანდში მოემწყვდა და შეიძლება უშედეგოთ ჩაიშალოს.

უკანასკნელი ცნობა ბორდოდან იმას გვეუბნება, რომ ჰააგაც ვერ მოგვცემს კოლექტიურს შეთანხმებას საბჭოთა რუსეთსა და ევროპას სახელმწიფოთა შორის.

„არა რუსული კომისია ცდილობდა აეძულებია ლიტვინოვი ეთქვა უკანასკნელი სიტყვა ვალებისა და კერძო საკუთრების შესახებ. თავის მხრით ლიტვინოვი მოითხოვს დადებით პასუხს კრედიტების შესახებ. არც ერთი მხარე არ ფიქრობს დათმობაზე-"ო გვატყობინებენ დეპეშები კონფერენციის მსვლელობის შესახებ.

შეიძლება ფრანგებმა, მართლაც დასტოვონ ჰააგა; საფრანგეთის პოლიტიკა რუსეთისადმი დღეს ვალებისა" და კერძო საკუთრების დაბრუნებაში გამოიხატება უმთავრესად. როდესაც ამ საკითხს მიადგა ჰააგაში შეთანხმება შეუძლებელი შეიქნა და ჰააგის კონფერენციის კრიზისიც დაიწყო.

გარდა ამისა საფრანგეთმა დაკარგა ინგლისისადმი ნდობა და უკანასკნელის დელეგაციის ოფიციალურ განცხადებასაც არ უჯერებს და ჰგონია, რომ ბრიტანეთი იდუმალ მოლაპარაკებას აწარმოებს რუსეთის დელეგაციასთან. მართლაც და ეს საკმაო საბუთია ამისათვის რომ საფრანგეთის იმპერიალისტური ბურჟუაზია ჰააგიდან გაბუტული წავიდეს; მაგრამ საფრანგეთის შეურიგებელი პოლიტიკით არ მოისპობა ევროპასთან შეთანხმების საქმე.

უკვე ცხადია, რომ რუსეთსა და კაპიტალისტურ სახელმწიფოებს შორის შეთანხმება საერთო კონფერენციაზე, თუ კერძო სეპარატიული გზით უნდა მოხდეს, ინგლისისა და სხვა სახელმწიფოთა ინტერესები დაჟინებით მოითხოვს ამას. სხვა გამოსავალი არ აქვს არც ერთს და არც მეორე მხარეს არსებულ პირობებში.

მომავალი დაგვანახვებს თუ როგორს ფორმებში ჩამოყალიბდება ეს შეთანხმება.

თვით მომწიფებული და დღიურ წესრიგში დასმული საკითხებიც მოითხოვენ ერთგვარს დროს და ევოლიუციას, რომ ისინი სასურველ ლოღიკურ დასკვნამდის მივიდნენ.

საბჭოთა რუსეთისა და ევროპის ურთიერთ დამოკიდებულება შეთანხმებისაკენ მიიჩქარის, მაგრამ შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ ეს შეთანხმება კოლექტიურის გზით ჰააგაში არ მოხდება რადგან ამ სახელმწიფოთა შორის გარდუვალი წინააღმდეგობა არსებობს.

და რამდენადაც ეს სინამდვილეა, იმდენად საბჭოთა რუსეთი წელში გამართული და მტკიცე ნების მქონე სახელმწიფოს ენით მეტყველებს თვით ამ კონფერენციებზე. „საფრანგეთის პრესა ხაზს უსვამს რუსეთის დელეგაციის უფრო შეურიგებელს ტონს, რომელიც ამ უკანასკნელებმა აიღეს ამ ბოლო დროს და ამას მიაწერენ თითქოს კრასინის მიერ ჩამოტანილ ახალ ინსტრუქციებს" ვკითხულობთ დეპეშებს და მართლაც რამდენად საკითხი კონკრეტიულ პრაქტიკულ მხარეს დაუახლოვდება, იმდენად წინააღმდეგობა ანტანტის წრეებში ღრმავდება, კონკურენცია მეტის დათმობისა რუსეთის ბაზრის ხელში ჩაგდების სურვილით გამოწვეული გაიზრდება მოპირდაპირე ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა შორის. ამდენადვე საბჭოთა რუსეთი ისარგებლებს და უფრო და უფრო გაბედულს ტონს აიღებს როგორც ამას საფრანგეთის პრესა კი აღნიშნავს. ასე და ამრიგად ჰააგის კონფერენციის მუშაობა ისე, როგორც გენუას კონფერენციისა, შეიძლება განმარტებულ იქმნას, როგორც გამარჯვებითი სვლა სოციალისტური რუსეთისა, თან და თანობითი უკან დახევა კაპიტალისტურ ევროპისა.

ჰააგის მნიშვნელობა დიდი იქნება იმ შეთანხმების გზებზე, რომელსაც ბოლოს და ბოლოს უნდა მოჰყვეს იმ პოლიტიკურ და დიპლომატიურს შეჯიბრებებს, რომელსაც ადგილი აქვს სხვა და სხვა კონფერენციებზე ამ ორ მხარეთა შორის.

შეიძლება ითქვას, რომ ამ გზაზე ჰააგამ გენუა გაცილებით დაშორებით დასტოვა უკან, ვიდრე ამას მოელოდა

რომელიმე დიპლომატი და სახელმწიფო მოღვაწე.

ნათქვამის სინამდვილეს დარწმუნე-

მული ვართ მომავალი ფაქტები დაადასტურებენ.

ფ-ცხი.

# საქართველოს სიძველეთა დაბრუნება რუსეთიდან

ცნობილია, რომ აღმოსავლეთ ქვეყნებში საქართველო ყველაზე უფრო მდიდარია როგორც სიტყვიერ, ისე განსაკუთრებით ნივთიერ ძეგლებით, რომელთა შორისაც ერთი უპირველესი ადგილი სხვა და სხვა დაწესებულებასთან არსებულ არქივ-მუზეუმებსა და შიგ დაცულ კოლექციებს, სურათებს, საისტორიო დოკუმენტებს, საეკლესიო განძეულობას და სამუზეუმო მრავალფერ ნივთებს უჭირავს.

ფასდაუდებელია, განუზომელი მათი მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნის წარსულის შემეცნებისათვის, მისის ეკონომიურ-სოციალურისა, პოლიტიკური და კულტურული მდგომარეობა-ურთიერთობის გათვალისწინებისათვის, ხოლო იმ გარემოების გამო, რომ საქართველო საუკუნეთა განმავლობაში იყო, არის და კვალად იქნება ის ასპარეზი, რომელზედაც იჭედება მთელი ამიერ-კავკასიის და ახლო აღმოსავლეთის ეროვნულ-პოლიტიკურ-ეკონომიური ვითარება, ზემოაღნიშნულ განძთა მნიშვნელობა კიდევ უფრო უაღრესდება არა მარტო ჩვენს მეზობელ რესპუბლიკათათვის, არამედ მთელი წინა აზიისათვისაც.

სამწუხაროდ ამ განძეულობის უდიდესი ნაწილი დღეს ჩვენს ქვეყანაში არ არის: იგი სხვა და სხვა დროს, მე-19 საუკუნის დასაწყისიდან დღემდე, რუსეთში ზიდულა შიშიანობისა, „უკეთ დაცვისა“, თუ სხვა მოსაზრებათა გამო და აქ მხოლოდ უმცირესი და უმნიშვნელო ნაწილიღაა დარჩენილი.

ქართველ ერს არა ერთხელ გამოუთქვამს თავის მტკიცე და შეურყეველი სურვილი მისი გონებრივი ნასიბრძნის, საუკუნეთა განმავლობაში დაუცხრომელ კულტურულ მუშაობის მოუწყვებელ ძეგლთა დაბრუნების შესახებ, მაგრამ ამაოდ: ძველი რუსეთი მას ყურს არ ათხოვებდა და კვლავინდებურად, სისტემატიურად განაგრძობდა საქართველოს სიმდიდრეთა მითვისებას, რაიც თვით რუს მეცნიერთაგანაცაა აღშფოთებით დადასტურებული.

დღეს მდგომარეობა გამოიცვალა.

საბჭოთა ძალა-უფლებისას არ არის ძალადობა, ერის დაჩაგვრა, მისი ავლა-დიდების მითვისება: მისთვის ყოველი ერი ერთგვარ ღირებულებას წარმოადგენს, რასაც საუცხოვოდ ადასტურებს ის გარემოება, რომ მან საუკუნეთა განმავლობაში ღირსება აყრილს, დაჩაგრულ ერებს დიდის დღესასწაულითა და ზეიმით დაუბრუნა მათი კუთვნილი ეროვნული განძი. (პოლონელებს, უკრაინელებს, მუსულმანებს და სხვ.).

დარჩენილი იყო მხოლოდ საქართველო, რომელსაც ყველაზე მეტი სიმდიდრე აქვს სამშობლოს გარეთ გაფანტული და გაბნეული, რაიც როგორც ერის კულტურის მაუწყებელი, მისი ისტორიისათვის ფასდაუდებელი ღირებულების წყარო, უეცილებლად მასვე უნდა დაბრუნებოდა სამარადისოდ სამკვიდრებელად.

და ეს ასედაც მოხდა: **თანახმად საქართველოს და რუსეთის განათლების კომისარიატთა შეთანხმებისა და რუსეთის საბჭოთა მთავრობის დადგენილებისა და სრულიად რუსეთის აღმასრულებელ კომიტეტის დადასტურებისა ზემოდასახელებულ დარგის ყველა სიმდიდრე უბრუნდება ქართველ ერს.**

მოკლე ხანში კიდევაც მიემგზავრება სათანადო კომისია ამ უდიდესი ისტორიული ფაქტის ტეხნიკურად მოსაგვარებლად.

დასასრულ უნდა აღინიშნოს, რომ ამ საქმის მოგვარებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის სახალხო განათლების კომისარს დავით კანდელაკს.

შემდეგში ჩვენ გავაცნობთ მკითხველთ სახელდობრ თუ რა განძეულობა უბრუნდება ჩვენს ქვეყანას ზემოხსენებულ გადაწყვეტილებით.

# ვანდერველდე საბჭოთა რუსეთის შესახებ

გაზ. „ლე პეპლ“-ში (ხალხი) მოთავსებულია საუბარი ვანდერველდესთან საერთოდ რუსეთის ეკონომიური მდგომარეობის და კერძოდ მოსკოვის ცხოვრების შესახებ.

„ტრამვაი და ელექტრონი მოსკოვში სავსებით ნორმალურიდ მუშაობს,—განაცხადა ვანდერველდემ. თეატრი და საზოგადოებრივი ადგილები ხალხითაა გაჭედილი. მაღაზიები გასაოცარი სისწრაფით იხსნებიან. ერთ ერთი ყვავილების გამყიდველს მე დაუნახე შესანიშნავი ყვავილები. წიგნის მაღაზიები მოსკოვში ბევრად უფრო მეტია, ვინემ ბრიუსელში. მუზეუმები საგრძნობლად გამდიდრდნენ კერძო გალერეიების საზოგადოებრივ სარგებლობაში გიდასვლის გამო. იმას, ვისაც სურს არსებითად შეისწავლოს სეზანი ან რენარი, რომ აღარაფერი ვთქვათ პიკასსოზე ან მატისსზე, უნდა გაემგზავროს მოსკოვში.

ქუჩებში შესანიშნავი წესრიგია. არაყის გაყიდვა აკრძალულია და თქვენ ვერსად ვერ შეხვდებით მთვრალებს. მორალის მხრივ ბოლშევიკების სატახტო ქალაქმა ძალიან წინ გაუსწრო ჩვენ დიდ ქალაქებს; მე ერთხელაც არ შემხვედრია მოსკოვში არც ერთი არა თუ პორნოგრაფიული, არამედ უბრალო უაზრო აფიშაც კი.

ჩემი რუსეთში მოგზაურობის შემდეგ, ამბობს ვანდერველდე, მე მივედი ორ სავსებით გარკვეულ დასკვნამდე: პირველ ყოვლისა, მე დავრწმუნდი, რომ ყოველგვარი ცდა დასავლეთ ევროპაში ერთიანი ფრონტის შექმნის შესახებ, უშედეგოთ დამთავრდება მანამდის, სანამ ბოლშევიკები არ განახორციელებენ ერთიან ფრონტს თვით რუსეთში. არ იტყვიან უარს სხვა სოციალისტური პარტიების წინააღმდეგ რეპრესიული ზომების მიღებაზე და არ მისცემენ მათ თუ გინდ ელემენტარულ პოლიტიკურ უფლებებს.

გარდა ამისა მე დავრწმუნდი იმაშიც, რომ პოლიტიკა ბლოკადისა, მავთულის ხლართულებისა და სამხედრო ინტერვენციებისა აღმოჩნდა ყოველ მხრივ უფრო გამანადგურებელი, ვინემ ეს მე წინად მეგონა. მან, ისედაც გაჭირვებაში ჩავარდნილ მასებს, მიაყენა განუზომელი ტანჯვა წამება და გააძლიერა საერთაშორისო ომის მიერ გამოწვეული უბედურება იმ ზომამდის, რომლის წარმოდგენა მე არც კი შემეძლო. ბოლოს და ბოლოს ბლოკადის პოლიტიკა ამართლებს ტერორსა და ბოლშევიკების დიქტატურას.

მე ღრმადა ვარ დარწმუნებული დაათავა თავისი ბაასი ვანდერველდემ, რუსეთთან პოლიტიკური ეკონომიური ურთიერთობის აღდგენის საჭიროებაში და პროლეტარიატის უპირველესი მიზანი უნდა იყვეს, იბრძოლოს ამის მისაღწევად, როგორათაც არ უნდა დაუჯდეს ეს მას.

# გერმანიის ამბები

**მუშათა მოთხოვნილება—კანონი რესპუბლიკის დაცვის შესახებ.**

**ბერლინი.** 4 ივლისი. ფრანგთლი პრესის ცნობით ბერლინის მუშების ორგანიზაციის კომიტეტმა ულტიმატუმი წარუდგინა მთავრობას, რომელშიაც აღნიშნავს, რესპუბლიკის დაცვას იმ სახით, როგორიც წარადგინა სოციალისტურმა პარტიებმა, წინააღმდეგ შემთხვევაში კომიტეტი მუქრები ერთდროული გაფიცვით, რომელიც საჭიროების მიხედვით შეიძლება გაგრძელებულ იქნეს განუსაზღვრელ დრომდე.

პროლეტარიატის გავლენის გამო რეიხსტაგმა მიიღო კანონები რესპუბლიკის დაცვისა და ამნისტიის შესახებ ორი მესამედის უმრავლესობით, რომელიც გერმანეთის კონსტიტუციის ძალით, საშუალებას აძლევს ძირითად კანონთა შეცვლის შესახებ. კანონს აქვს ძალა 5 წლით. ერთი სტატია კანონისა სახელმწიფოში იღებს გერმანიიდან გაძევებას სამეფო სახლობის თუ კი მათი მხრივ დარღვეული იქნება კანონი. სხვა მოქალაქეთა შესახებ კანონი მხედველობაში იღებს გადასახლებას 5 წლის ვადით.

**შეთანხმება დამოუკიდებლების მეუმრავლესე სოციალისტებთან.**

**ბერლინი.** 3 ივლისი. საბოლოოდ გამოირკვა, რომ დამოუკიდებელნი შედიან მთავრობის შემადგენლობაში. დამოუკიდებლების ბერლინის კონფერენციამ ორი მესამედის უმრავლესობით დაადგინა, რომ პარლამენტში დამოუკიდებელნი უნდა მოქმედებდნენ სოციალისტებთან, პროფესიონალური ორგანიზაციის მონაწილეობით, ამ საკითხის შესახებ, რომელიც იყენებს დამოუკიდებელთა შეთანხმების საიმპერიო მთავრობის კოალიციაში.

**რატენაუს მოკვლის ამბო.**

**მოსკოვი.** 14 ივლისი. რატენაუს ორივე მკვლელი იმყოფებიან ინგლისში. გერმანიის პოლიციამ დახურა ყოფილ სამთავროს საზღვრები.

**ბავარიაში.**

**მოსკოვი.** 14 ივლისი. ბერლინიდან 10 ივლისის თარიღით იტყობინებიან: გაზ. „როტე ფანეს“ ცნობით, ბავარია სდგას მონარქიულ გადატრიალების სერიოზულ ცდის წინაშე.

# უცხოეთი

**გაფიცვის დამთავრება**

**ნაუენი.** 14 ივლისი. ნავთსადგურების მუშებისა და გემების მოსამსახურეთა გაფიცვა 3 მპურგში დამთავრდა. შიგნეულ ცურვის მეწარმეებმა ინჟინერებმა და დოკერებმა მიიღეს პირობები, რომელიც მათ წარუდგინა საარბიტრაჟო კომისიამ, პირობები მიღებულია 6000 ხმის უმრავლესობით, წინააღმდეგ 3500 ხმისა.

**დანციგის პროტესტი**

**ნაუენი.** 14 ივლისი. თავისუფალი ქალაქის დანციგის პრეზიდენტი ენერგიულ პროტესტს აცხადებს საფრანგეთ პოლონეთის შეთანხმების შესახებ რომელმაც შედეგათ უნდა მოჰყვეს დანციგის გადაქმნა პოლონეთის საზღვაო ბაზად.

**საკითხი მორატორიუმის შესახებ**

**ლიონი.** 14 ივლისი. შუამდგომლობა მორატორიუმის შესახებ, ფიშერისა და ბრედბერის მიერ ოფიციალურად შეტანილია სარეპარაციო კომისიაში, სარეპარაციო კომისია ხუთშაბათს გაეცნო წინასწარ პასუხს, რომლის საბოლოო რედაქცია მიენდო საფრანგეთის წარმომადგენელს დიუბუას.

**აფეთქება ბალაროებში**

**ნაუენი.** 14 ივლისი. ბალაროებში ბეხენის მახლობლად ბერლინ-ჰამბურგის რკინის გზის ხაზზე—მოხდა ხელ-ახალი აფეთქება მოკლულია 9 და დაჭრილია 10 კაცი.

**იძულებითი სესხი.**

**ბერლინი.** 14 ივლისი. დემოკრატ ფიშერის წინადადებით რეიხსტაგის საფინანსო კომისიამ მიიღო იძულებითი სესხის ციფრი 70 მილიარდი ქაღალდის მარკა. გ. ზ. „ფორვერტსი“ პროტესტს

# სატირიკონი

## (გაზეთი გაზეთში) № 12

ყოველ კვირეული იუმორისტული გამოცემა

**რწყილი და ჭიანჭველა.**

როგორც „სატირიკონის“ წინა ნომერში შევპირდით მკითხველებს, მოგვყავს აქ ახალი მეთოდოლოგიური მიდგომით აღდგენილი ტექსტი ამ მეტად საინტერესო პაემნისა.

რწყილი და ჭიანჭველა „საკრაზჩენია*)“ სტუმრობენ. ისინი არც სპეკულიანტები იყვნენ, არც კოოპერატორები და ამიტომ ქალაქში უადგილოდ თავს ვეღარ შეინახავდნენ. გასწიეს სოფლისაკენ ფეხით, რადგან მაშინ მატარებელი არ ყოფილა, ან თუ იყო, მგზავრობა ისე ძვირი ჯდებოდა, რომ უსაქმოდ დარჩენილი ხალხი ყოველ შემთხვევაში ვერ მოახერხებდნენ.

იარეს, იარეს და მიადგნენ ერთ მდინარეს. რწყილმა ისკუპა და გადახტა მეორე ნაპირას. ისკუპა ჭიანჭველამაც, მაგრამ წყალში ჩავარდა. შეეხვეწა რწყილს, მიშველეო.

რწყილი—ახტა, დახტა, მივიდა ღორთან და მიესალმა შევარდნულად, როგორც „შევარდენის“ წევრმა:

— გუშაგობ ერს!

ღორი—არასოდეს!

რწყილი—სხვა ნაირი პასუხი საწყენიც იქნებოდა შენგან. ამიტომ ეხლავე მომეც ჯაგარი... უკაცრავად, ჯაგარი, დავგრეხ თოკსა ბაწარსა, ჩავუგდებ და ამოვიყვან ძმა ჭიანჭველასა.

ღორი—ჭიანჭველა როგორ იქნება რწყილის ძმა?

რწყილი—მართლა ძმა კი არაა, მაგრამ ჩვენ შევარდნები ასე ვუწოდებთ ერთმანეთს.

ღორი—მაშ ჭიანჭველაც შევარდნებში ჩაეწერა?

რწყილი—ჯერ არა, მაგრამ ამ გაკვეთილის შემდეგ უეჭველად ჩაეწერება, რომ გადახტომა ისწავლოს.

ღორი—ეს თქვენ ხტუნაობის გუნებაზედ ყოფილხართ და მე კი სიმშილით კუჭი მეწვის. აი მიწას ვაბრუნებ, მინდა ბოსტნური წესით რკო მოვიყვანო, მაგრამ სათესლე არ გამაჩნია; არ ვიცი რა მეშველება.

რწყილი—მიხვდა რაც უნდოდა ღორს, ახტა, დახტა, მივიდა მუხასთან და მიესალმა;—გუშაგობ ერს:

მუხა—მარად!

რწყილი—აბა მომეც რკო.

მუხა—საიდან გამაჩნია რკო? იმ წყეულმა ყვავმა სულ გამაჩანაგა...

რწყილი—ახტა, დახტა, მივიდა ყვავთან.

— გუშაგობ ერს!

ყვავი—უკაცრავად, მაგრამ აქ ქართულადაა საქმის წარმოება და უცხო ენაზედ პასუხს არ ვიძლევით.

რწყილი—რის უცხო ენა, ამხანაგო, ნამდვილ ქართულს გელაპარაკებით. მაგრამ ძლიერ მეჩქარება. ეხლა ყველგან სამეურნეო ანგარიშებია შემოღებული და უნდა იცოდე, რომ მუქთად რკოს რეკვიზიცია აღარ შეიძლება.

ყვავი—ვიცი, ამხანაგო, განა არ ვიცი? რამდენი ხანია ახალსაც არ გვეკარებიან მუხას. ბახალები მყავს და ვერ მოვეშორებივარ. საჭირო წამალი ვერც ერთ აფთიაქში ვერ ვიშოვე და ექიმმა ისევ დიეტა მირჩია: წიწილის ბულიონი აძლიეო, თითქოს წიწილი კი იშოვებოდეს...

რწყილი—მიხვდა, რაშიაც იყო საქმე, ახტა, დახტა, მივიდა კრუხთან:

—გუშაგობ ერს!

კრუხი—(კარგად ვერ გაარჩია შემკრთალი) ბევრს ვმუშაობ, შვილო, ბევრს, მაგრამ რა მერე? მაინც მშიერები მყავს წიწილები.

რწყილი—მაშ მომეც ერთი წიწილა!

კრუხი—ყველა წაიყვანე. შვილო, თორემ ერთს როგორ შეველიო, სულ ერთია ყველა სიმშილით დამეხოცება. ერთი მარცვალი ფეტვი არ გამაჩნია, ხომ...

რწყილი—გაიგო, რაც უნდოდა კრუხს, ახტა, დახტა, მივიდა ორმოსთან;

— გუშაგობ ერს!

ორმო—ვაი შენ მტერს! ალბად კი დევ ნატურ გადასახადისათვის მობრძანდით, მაგრამ ერთი მარცვალი არ დამატოვა წყეულმა თაგვმა.

რწყილი—ახტა, დახტა, მივიდა თაგვთან:

— გუშაგობ ერს!

თაგვი—ნუ ყბედობ ბევრს: სად კომსომოლა და სად ერის გუშაგობა. ჩვენ გვწამს კლასი და სხვა არაფერი...

რწყილი—კლასი კლასი, მაგრამ ორმოს რომ ფეტვის რეკვიზიციას უშვრები თურმე ხშირად, ეს კი არ შეიძლება. სიმშილობაა, ნატურ გადასახადს ვეღარ გადაიხდის.

თაგვი—როგორ გეტყობა, რომ კომსომოლი არა ხარ! შევარდნებში რომ პოლიტიკურ ეკონომიასაც ისე ერთგულად სწავლობდეს, როგორც ტანვარჯიშობას და კრივსა მაშინ გაიგებდით, რომ ნატურ გადასახადი სწორედ იმიტომაა საჭირო, რომ სიმშილობაა. მაგრამ მე ფეტვს არ გიახლებით! ის ეხლა ბურჟუებმა უნდა სინჯონ როგორია! აი წყეული ანტანტა (კატის სხელია) რომ საქმეს არ გვიჭირვებდეს...

რწყილი—მიხვდა, რა იყო საჭირო, ახტა, დახტა, მივიდა ანტანტა—კატასთან:

— გუშაგობ ერს!

კატა—მაგაებისთვის ეხლა ერთა ლიგა არსებობს, მეგობარო, იმას უნდა მიაროო.

რწყილი—შენ კი თავი გაანებე იმპერიალისტურ პოლიტიკას, დაეხსენ თაგვსა:

კატა—დიდი სიამოვნებით! მაინც კუჭი დამისუსხა უმი ხორცის ჭამამ და ეხლა რძე მირჩიეს ექიმებმა. ეგებ მომიხერხო და ჩამწერო ერკომში, რომ...

რწყილი—ახტა, დახტა, მივიდა პირ და პირ ძროხასთან. იმიტომ, რომ ერკომში რო წასულიყო, სანამ რიგი მოუწევდა, ჭიანჭველაც დაიხრჩობოდა.

— გუშაგობ ერს!

ძროხა—მარად!

რწყილი—მაშ მომცემ რძეს!

ძროხა—უარს როგორ გეტყოდი, მაგრამ უჭმელობით ჯიქანი ცარიელი მაქვს...

რწყილი—ახტა, დახტა მოუტანა ძროხას ბალახი. შემდეგ ჩამოიარა ისევ ყველა ინსტანცია ხელ მეორედ და მიიღო ჯაგარი. დაგრიხა თოკი—ბაწარი, ჩაუგდო ჭიანჭველას, რომელიც ბალახზედ შერჩენილიყო და ჰიდრო-ელექტრონული სადგურის პროექტს ადგენდა. ასე გადაარჩინა რწყილმა ჭიანჭველა, რომელიც მაშინვე შევარდენში ჩაეწერა და ხულ მოკლე ხანში ვარჯიშთავი შეიქნა.

ა. წკიპურტაძე.

*) „საკრაზჩენიე“ ერთნაირი სასჯელი იყო, მაგრამ რა დანიშნულებისათვის იყო ის დანიშნული, კარგად არ ვიცით. ზოგიერთი მკვლევარის აზრით „საკრაზჩენიას“ უწყებოდენ, ვინც დედა-ენა კარგად არ იცოდა.

—

**ნეკროლოგიის მაგიერ.**

(მიწიშვილს)

საქართველოს დალაჯობს აპოლონი, ვენერა,
როგორც ცოლი ლამაზი მოხუცებულ დენერალს.
არ გვწყალობს არც ბახუსი, ფორტუნა და ეროსი'
ვითა გაშმაგებულ მგელს, თავვანწირვა წეროსი.
პოეზიას მოაკლდა ერთი „ბუმბერაზია“.
სამუდამოდ ატირდა ჩვენთან ერთად აზია—
და თავზ რი დაეცა „ცისფერ-ყანწის“ „გრუპასა“
მათ მგოსნობა ეგონათ ლ ხუსტაკი თუ პრასა?)
მგოსნის ნაზმა სხეულმა, ხშირი გაპარსულობით
შიმშილს ვეღარ გაუძლო თავის სულ მოცულობით.
(ყველამ ვიცით შიმშილი ტვინის უფრო ცუდია.
თუმცა კუჭზე ყვირილი ყანწელების ხუნდია).
შეიყვარა სასახლე, გახდა მტერი ქოხისა,
ალბით მიტომ იშოვა მან ნებართვა ნოხისა;
და მგოსანი „ცნობილი“ მეგობარი ჩიბისის,

აცხადებს ასეთი დადგენილების წინააღმდეგ და აღნიშნავს, რომ შეთანხმება მიღწეული იქნა სესხის 1 მილიარდ ოქროს მარკით—ე. ი. 100 მილიარდი (ქაღალდი) განსაზღვრის შესახებ.

კრიტიკული მდგომარეობა

ბერლ. 14 ივლისი. პოლიტიკური მდგომარეობა ბერლინში კრიტიკული ხდება. სოციალისტებმა გადაჭრით განაცხადეს, რომ ისინი არ მისცემენ ხმას თავდაცვის კანონპროექტს, იმის გამო, რომ ბურჟუაზიულმა პარტიებმა შემდეგ შეიტანეს ამ კანონპროექტში თავისი შესწორებები. ეხერტი საღამოზე მოემგზავრება ბერლინში, რაც იწვევს საერთო გაოცებას.

კოალიცია

ბერლ. 14 ივლისი. სოციალისტები მხარს უჭერენ მოთხოვნილებას მთავრობის კოალიციის გაფართოების შესახებ, მის შემადგენლობაში დამოუკიდებლების შეყვანით, ბერლინში ფიქრობენ, რომ შესაძლებელია მხოლოდ ორი გამოსავალი შექმნილ მდგომარეობიდან; ან რეიხსტაგის გაშვება, ან მთავრობის რეორგანიზაცია.

ვირტის განზრახვა.

ბერლ. 14 ივლისი. გაზ. „ფოსიშე ცეიტუნგის“ განცხადებით, კანცლერ ვირტს განზრახული აქვს შეადგინოს კაბინეტი მთავრობის ახლანდელ წევრთა და ორი დამოუკიდებელთა შემადგენლობით: ერთ-ერთი დამოუკიდებელი მიიღებს მინისტრის პორტფელს ამის შემდეგ ვირტი დასვამს რეიხსტაგში საკითხს მთავრობისათვის ნდობის გამოცხადების შესახებ.

# ტიტოს ხსოვნას

დღეს გავიდა სრული ერთი წელიწადი რაც ბნელეთის გარეწრებმა ღამის წყვდიადში, ქურდულად, გული გაუგმირეს სინათლის ლამაზ ვარსკვლავს და რაინდს—ტიტო ფარესიშვილს, დუშეთის მიდამოებში...

დღეს სრული წელიწადია, რაც ჩვენც ეგზომ დამწუხრებულნი მისნი მეგობრები, და დამწვარ დათვლილი მშობელი დედა და ძმა ჯალაბობით, იმავ ღამის მზარავთა მიერ, გულგანგმირულნი, ყელში მოწოლილი სევდით ვიხრჩვით, ვერ ვიოკებთ მოწოლილ აზღვავებულ ცრემლებს და ვერ შევრიგებივართ ჯერ კიდევ იმ საზარელ აზრს, რომ ტიტო სამუდამოდ ჩამოგვშორდა..

რითი აიხსნება ჩვენი ესეთი მოუნელებელი წუხილი ტიტო ფარესიშვილზე? იქნებ იმითი, რომ დავკარგეთ დუშეთის მაზრის საუკეთესო და უაღლესად განათლებული, რომელმაც ტიტანური ძალ ღონით და სამაგალითო ინიციატივით შემუსრა ყველა დაბრკოლებანი და განფანტა თვის მადლიანი ხელით ის წყვდიადი, რომლითაც მოცული იყო მთელი ეს მაზრა? იქნებ იმაზე ვწუხართ და ვგლოვობთ, რომ საბჭოთა ხელისუფლებას გამოეცალა ერთი საუკეთესო და უანგარო თანამშრომელი?..

დიახ მართალია ეს ჩვენი წუხილის მიზეზები—ყველა საგულისხმოა და ამართლებს ჩვენ წუხილს. მაგრამ მთავარი საპატიო მიზეზი ჩვენი გლოვისა გახლავთ ის, რომ ჩვენ დავკარგეთ იშვიათი სულის მეუფლე ადამიანი, გამთბარი და დაღვენთილი სიყვარულით. თავდავიწყებამდე, მიძინებამდე მშობელ კუთხისადმი და მშრომელი ხალხისადმი.

ვინც კი იცნობდა ტიტო ფარესიშვილს დამეთანხმება, თუ რანაირ იშვიათ ცხოველმყოფელ სხივებში ათბობდა ყოველივე საქმე, რომელსაც კი იგი ხელსა ჰკიდებდა, თუ რანაირ თავდავიწყებით იტაცებდა მიყვასს სიკეთისადმი და სინათლისადმი, როგორც მომავალი რამ ფოლადი, თუ რანაირ ცეცხლითა და ალით იწოდა და სწვავდა ირგვლივ ყველას თვისი მშობელი კუთხის სიყვარულით, თუ რანაირ გატაცებულ ალერსით თავს ევლებოდა თვის მშობელ დედას ძმასა და მის ოჯახს და და რანაირ რაინდულ გრძნობით ჰხიბლავდა და ათრობდა თვის სიცოცხლით თანამგზავრს უცხოელ ქალსაც კი, რომელმაც აკი ვერ აიტანა სულის ტოლის გულიდან ასეთი საშინელი მოსხლეტა და თვითონაც თან გადაჰყვა მკვლელობისავე დღეს

ტიტო ფარესიშვილი ბუნებით ნამდვილ ლალ მსახიობს წარმოადგენდა. მსახიობს, რომელსაც გულის ფანცქალით და სალოებით შეჰყურებს და უსმენს მთელი დარბაზი და დატყვევებულია მისი ზეგარდმო მადლით ცხებულ ნიჭით და შემოქმედებით.

ტიტო ფარესიშვილის შემოქმედებით ნიჭს კი, გამთბარს თვის ლამაზ სულით, მართლაც ყველა შეჰყურებდა და განცვიფრებაში მოჰყავდა, როგორც ის ხალხი, ვის წინაშეც სცენაზე მეტი როლში იყო გამოსული, ისე ამ ხალხის მესვეურნი, ვინც მას ეს როლი აკისრა.

ტიტო მოჰკლეს დუშეთში, როცა იგი მეუღლესთან ერთად წარმოდგენიდან ბრუნდებოდათ, გვამცნო შარშან დეპეშამ.

იქნებ იმიტომ ჩამძახის ეს ცნობა ყურში ასე დაჟინებით.—ტიტო!—მსახიობის პიროვნებასთან შედარების დროს?!

დ. პ—ლი.



დ ი მ ი ტ რ ი (ტ ი ტ ო) ფ ა რ ე ს ი შ ვ ი ლ ი
(ახალგაზრდობაში. ნახატი მხატვ. ვ. სიდამონ-ერისთავის მიერ).

# ტიტო ფარესიშვილს

(წლის თავის გამო)

ბნელმა ძალებმა მოგიღეს ბოლო,
მოგწყვიტეს ერთან, დედის ხორცს და სულს,
მშობელს ნუგეშად დარჩა სამარე—
ტირილით, კვნესით მოიოხებს გულს.
მაგრამ სამშობლოს ვინ დაუტოვე
შენდა საბადლოდ შენს მაგიერი?..
ხომ იცი გმირებს აროდეს ტირის
და არც იტირებს ქართველი ერი.
გლოვისა ძაძებს გულით ატარებს,
პატივს ამით სცემს ის თავის გმირებს...
ვაი მას, ვისაც სამშობლოში მკვდარს
მშობლიური ცა არ დაიტირებს!..
და შენ კი ვიცი, რომ ჩემო ტიტო,
გტირის სხვათა ცა და სხვათა ერი,
რადგან მათთვისაც იყავი მუდამ
გულით ლამაზი და ლმობიერი.

შიო მღვიმელი.

# ტიტო ფარესიშვილის სამარეზე

1.
აი სამარე: აქ განისვენებს
იესოსავით სახე ნათელი;
აქ ასვენია ვინც ხალხს ემსხვერპლა
და მას შესწირა სიცოცხლე მთელი.
2.
ძვირფასო ტიტო! შენს ღვაწლს და შრომას
არ დაივიწყებს შთამომავლობა,
და შენს მშვენიერს ბრწყინვალე ხსოვნას,
ვერა, ვერ წაშლის დროთა მსვლელობა.

გ. ქუჩიშვილი.

# ახალი ამბები

— ამხ. კამოს ტრაგიკული სიკვდილი. 14 ივლისს ღამის 11 საათზე, ვერის დაღმართზე ველოსიპედით მოგზაურობის დროს ამხ. კამო დაეჯახა ავტომობილს, რომლითაც იგი გადაგდებული იქმნა ქვაფენილზე.

საავადმყოფოში მიყვანისათანავე ის მაშინვე გარდაიცვალა. ამხ. კამო ძველი პარტიული მუშაკი იყო, რომელსაც ქონდა გაწეული დიდი სამსახური რევოლუციის წინაშე და ტფილისის მუშებისათვის კარგათ ცნობილი პიროვნება იყო.

— ძველი მასალის გამოყენება. ჰიდრო-ელექტრონის აგების კომიტეტმა დაადგინა სთხოვს კომუნალურ მეურნეობის განყოფილებას, რომ გადასცეს კომიტეტის განკარგულებაში აგურის დანგრეული შენობები დიდუბეში იმ მიზნით, რომ კომიტეტი ისარგებლებს გამოსადეგი სამშენებლო მასალით.

— მუშა ხელის მოძრაობა. თბილისის შრომის ბირჟაში 14 ივლისს გამოცხადდა 505 კაცი—აქედან 238 მამაკაცი და 267 ქალ. რეგისტრაციაში ხელახლა გატარდა 45 უმუშევარი, აქედან 27 მამაკაცი და 18 ქალი. მუშახელის მოთხოვნილება იყო 7, სამუშაოზე გაიგზავნა 10 უმუ-

— სათესლე ფონდი. მიწადმოქმედების კომისარიატში სწარმოებს დიდი მუშაობა ახლახან დახურული თესვის კომიტეტების ყრილობის რეზოლიუციებისა და დადგენილებების ცხოვრებაში გატარებისათვის; უმთავრესად კარდინალურ კითხვაზე გამოტანილ რეზოლიუციის გასატარებლად, რომელიც მდგომარეობს საერთო რესპუბლიკანურ მაშტაბში სათესლე ფონდის 407.000 ფ. რაოდენობით შექმნაში. ფონდის შეკრებისა, შენახვისა და გაუმჯობესებისათვის, მაზრის შტატის შენახვის გარდა, თვითეულ მაზრაში უნდა შესდგეს შტატი 4 პირისაგან შემდგარი და სათესლე საგნების შესაკრებად უნდა მოწვეულ იქმნან დროებითი აგენტები, რომელნიც მიიღებენ პროცენტულ ჯილდოს ნატურით შეკრებილი სათესლისაგან, რომელთა დაკმაყოფილებასა და სხვა ხარჯებისათვის გადადებული უნდა იქნეს 3 დან 5-მდის შეკრებილ სათესლე საგნებიდან.

— ელექტრონის სადგურები. კომუნალურ მეურნეობის განყოფილებამ დაადგინა შეავსოს კომისია სპეციალისტებისა ქალაქის ელექტრონის სადგურების გამოსაძიებლათ შემდეგი ინჟინერებით—

---

გაიმსჭვალა ტრფობითა ფულისა და ჯიბესი.
მან პარიზი არ ჩია გახუნებულ ტფილისა
და ხელიდან გაგვიქრა, როგორც ნამი დილისა.
და ჩვენ ვტირით—იცით ვის? თქვენ გგონიათ წასულსა?
ჰმ! გზა ღმერთმა უკურთხოს „ცისფერ ყანწის“ „ახუნსა“
ჩვენ ვტირით, რომ მაგვარი ბევრი დაგვრჩა აქაცა,
ვინც ქართული კულტურა მეტად უშნოდ დაქანცა.
შეაჩერეს ლოძები ხელოვნების ხიდისა
სისულელით გაგვბერეს მოსურნენი დიდისა,
მაგრამ გვრწამს, რომ ნებართვა შაქრისა და ნოხ-სა
კიდევ ბევრს გასტუმრებს, ვით ბაცილა კოხისა.
მანამ მაინც ვიყვირებთ: ალარ გვწყალობს ვენერა,
როგორც ცოლი ლამაზი მოხუცებულ ლენერალს.

ტყა—დიცა.

# სამი ხონელი

ერთ მოქმედებიანი პიესა.

ვისთვის კომედია და ვისთვის ტრაგედია

(დასასრული) *)

ბუდუ. რაც შეეხება თედოს მოსყიდვას, ეს მართალია. ჩვენ თედო მოვისყიდეთ 1917 წლიდანვე. ხოლო სასყიდლად მივეცით ყველაფერზე უფრო ძვირფასი თვალთმაქცი, რომლითაც სხვათაშორის გვინდა მოვისყიდოთ მთელი დასავლეთ ევროპის მუშათა კლასი. ჩვენ თედოს მივეცით რევოლიუციის თილისმა.

სისიკო. მაგი თილისმა მას თავიდანვე ჰქონდა; მაგრამ ამჟამად თედო არ მაინტერესებს. მინდა კიდევ შეგეკითხო. ბუდუ, რომ დავიჯერო შენ საქართველო შეგძულებოდეს, ვერ წარმოვიდგენ შენ ინდეფერენტობას ხონისადმი; ამიტომ ვფიქრობ და ვერ ამიხსნია შენი რუსული ორიენტაცია.

კაცო ხომ კარგად იცი, რომ ხონის ეკონომიური ძლიერება მდგომარეობს: კვერცხების, სულგუნისა, ყველისა და ქათმების წარმოებაში. რა ბაზარი შეუძლია შეუქმნას რუსეთმა ამ ჩვენს მეურნეობის ნაწარმოებს მომავალში? ცხადია, არაფერი. თუმცა ახლა სურსათის მოხმარებითი და შემძენი უნარი რუსეთის პროლეტარიატს დიდი აქვს, მაგრამ ხვალ? ხვალ, როცა ქათმები დაიზრდება, ძაღლსაც ჩვენგან წაიღებენ, კვერცხი იქაც თავსაყრელი იქნება; მეძეძობის საქმეც იქ ჩვენზე უკეთ იქნება მომავალში.

აი ეს სიყვარული, უმწიკვლო სიყვარული მახელძღვანელებდა, როცა ვამბობდი ორიენტაცია დასავლეთის, იქ ჩვენი სოფლის მეურნეობის, უმთავრესად კვერცხის ბაზარია თქვა. ეჰ რავარც გინდათ ისე ჰქენით, მე კი არ დავიჯერებ და! (იმღერის, არ გავცვლი სახლსა და კლდეებს უკვდავებისა ხეზედა, არ გავცვლი მე ჩემსა ხონსა სხვა ქვეყნის სამოთხეზედა და სხვ.) შამოდის კარის კაცი და შემოაქვს ჩიჩერინის ბარათი, რომ ბუდუ კომისიის სხდომას დაესწროს.

ბუდუ. ჩვენ კიდევ პოლიტიკაში შევსტოპეთ, ჩემო სისიკო! ხომ იცი, რომ ჩვენ აქ შესარიგებელი ხაზი არა გვაქვს. შენი ლოლიკა ხონის კვერცხებიდან გამომდინარეობს, ჩემი კი საერთაშორისო სოციალისტურ რევოლიუციას ემყარება. შენ ამბობ მოსე ხონელიდან დავიწყოთო, მე კი ვამტკიცებ ლენინ-ტროცკიდან-თქო. აბა აქ რა შეგვარიგებს.

სისიკო. უკანასკნელი შეკითხვა. თუ ძმა ხარ რა კომბინაციით მოახერხეთ, რომ სომხეთი ომს არ გიცხადებთ? ეს მეტად საინტერესო და იმავე დროს გასაკვირველი ფაქტია; რომ არ გავადიდო ვიტყვი, ეს პირდაპირ პოლიტიკური კურიოზია. მე ერევანში სომხები რომ მკოცნიდენ, ჩემს მთავრობას თურმე ტყვიას უშენდენ. როგორ მოსპეთ ამ გაუტანლობის წყარო? ტფილისი ხომ მართლა არ დაგითმიათ სომხეთისათვის? როგორ მოსპეთ ომი?

ბუდუ. სულ ადვილად. ამის გადაწყვეტა ისევე მარტივია, როგორც საზოგადოთ ჩვენგან ყველა საკითხების გადაჭრის მეთოდი. ხელშეკრულებას ბურჟუაზიულ-მენშევიკური მთავრობა იხილავდა, შინაარსს ეცნობოდა და ერთ დავა დავიდარაბას ატეხდა. ამითაც აიხსნებოდა თქვენსა და სომხეთს შორის მუდმივი ომი.

ჩვენ კი ასე ვჭრით საკითხს: ხელშეკრულებამ რომ დავა არ გამოიწვიოს, იგი განხილული არ უნდა იყოს. მე მაგალითად სომხეთთან ხელშეკრულებას ხელი ისე მოვაწერე, რომ არც კი გადამიკითხავს. აი როგორია ჩვენი დიპლომატია.

სისიკო. ერევანში ჩემზე უფრო თვალდახუჭული დიპლომატი არავინ ყოფილა, მაგრამ მაინც ომი აგვიტეხეს. ნეტავი ძამია ბუდუ თვალების დახუხვა ხომ არ მიშველიდა სომხეთის ომისაგან?

ბუდუ. მაშ მშვიდობით, სისიკო... მსჯელობის გაგრძელება არ შემიძლია, სხდომაზე მივდივარ. (ერთმანეთს ემშვიდობებიან, ბუდუ მიდის ჩიჩერინთან, ხოლო სისიკო კი აკ. ჩხენკელის კაბინეტში).

მეორე დღეს გამოქვეყნდა მემორანდუმი აკ. ჩხენკელისა გენუას კონფერენციის თავმჯდომარე ფაქტასადმი.

გენუას კონფერენციის თავმჯდომარეს ბ-ნ ფაქტას საქ. ნაციონალური მთავრობის სრულ-უფლებიანი წარმომადგენლის აკ. ჩხენკელისაგან.

ბ-ნო ფაქტა! მაქვს პატივი გაუწყოთ ჩემი მთავრობის დავალებით იმ სისაძაგლეზე, რომელსაც ჰქონდა ადგილი ბოლშევიკების მხრით მშვიდობიანობისა და კაცთ მოყვარეობისათვის შეკრებილ კონფერენციის ქალაქში. საქართველოს ნაციონალური მთავრობის დელეგატი გენუაში ბ-ნი სისიკო მდივანი მივიდა თავის სოფლის ამბავის გასაგებათ კერძო კაცის—ბუდუ მდივნის კაბინეტში. თქვენ ალბად არც კი მოგეხსენებათ, რომ აღნიშნული პირი ბოლშევიკია და როგორც კერძო კაცი ღებულობს მონაწილეობას ბოლშევიკების დიპლომატიურ მუშაობაში. და აი სწორედ ამ პირმა დააპატიმრა ნამდვილი საქართველოს ნამდვილი დელეგატი და მთელი ორი საათი თავის კაბინეტიდან არ გამოუშვა. ყოველივე ძალმომრეობის ხმარების შემდეგ, როცა დარწმუნდა ბ-ნი ბუდუ მდივანი, რომ სისიკოს ვერაფერს ანტანტის დამღუპველ ცნობას ვერ გამოთხოვდა, უკანასკნელი განთავისუფლებული იქმნა. კვლავ და კვლავ მივაქცევ თქვენს ყურადღებას ბოლშევიკებისაგან ყოველ ფეხის ნაბიჯის გადადგმაზე საერთაშორისო უფლებისა და ეთიკის დარღვევაზე; თქვენ წარმოიდგენთ ბოლშევიკურ გაუტანლობას მას შემდეგ, როცა გაიგებთ, რომ ბუდუ და სისიკო ძმებია. სად არის კაცთ-მოყვარეობა, სად არის ღვთისმსახურება, ნუ თუ კაცობრიობა ვანდალიზმმა უნდა იმსხვერპლოს.

ჩემი მთავრობის სახელით სასტიკ პროტესტს ვაცხადებ ბოლშევიკების დელეგაციის წინააღმდეგ, რომელმაც კერძო კაცს—ბოლშევიკს მდივანს მისცა უფლება კულტუროსანი კაცობრიობის ამ ღალატებელი ფაქტის დაშვებისა.

პატივისცემით საქ. ნაც. მთავრობის სრულუფლებიანი წარმომადგენელი აკ. ჩხენკელი.

მეთოხე ხონელი.

*) სატირიკონი № 11.

---

ქალათ პოეტი.

ლექსების წერა დავიწყე
რომ თავი გამომეჩინა.
ვერ გადავაბი სიტყვები,
ფიქრებით თავი მეტკინა.
ბევრი ფიქრებით დაღლილსა
იქავე ჩამომეძინა;
გამოვიღვიძე მაშინვე,
რომ წერა არ გამეცდინა,
კალმის ტარს ხელი მოვავლე
ისევ შევუდექ წერასა,
შორიდან გაიგონებდით
ჩემი გულ-ბოყვის ძგერასა,
დავიწყე, ისევ წავშალე,
ვერ დავამგვანე ვერასა...

რაჟდენ მაკვლიერი.

რედაქტორი ავენა წკაპურტა ძე.

ლ. ნ. დიასამიძე, ს. ა. მუხარინსკით და ამხ. გორბანენკოთი; კომისიას დავალებული აქვს გამოარკვიოს სარგებლიანობა ყველა ელექტრონის სადგურებისა ერთ ტეხნიკურ გამგეობაში, ღირებულება სადგურების გაერთიანებისათვის საჭირო ხარჯისა და გამოძიება ვადისა, როდემდისაც შესაძლებელია ტეხნიკური გაერთიანების სამუშაოს დამთავრება. აგრეთვე კომისიას დავალებული აქვს შეადგინოს პროექტი ქალაქის ტრამვაის სადგურის გადაკეთებისა ისე, რომ მას შეეძლოს მისცეს ენერგია აბონენტებს. კომისიას მუშაობის გასათავებლად მიცემული აქვს ერთი კვირის ვადა.

# მუშათა წერილები

## წინეთ და ეხლა

განსვენებულ ნიკოლოზის მთავრობის დროს ყოვლად შეუძლებელი იყო მუშების ორგანიზაციების და პროფესიონალურ კავშირის არსებობა. მხოლოდ ხაზეინების ხელში იყო მუშების ყოფნა არ ყოფნის საკითხი. იყო ქარხნის ინსპექტორი, მაგრამ ისიც ხაზეინის ინტერესებს ემსახურებოდა. რუსეთის დიდმა რევოლიუციამ ერთის ხელის დაკვრით მოსპო და მუშებმა თავის ხელში აიღეს მთელი ძალა-უფლება და ჩაებნენ საალმშენებლო მუშაობაში, მაგრამ ჯიუტმა ბურჟუაზიამ მას არ დაუთმო და ძვირათ დაუსვა თავისუფლების განმტკიცება.

დღეს კი სულ სხვა სურათს ვხედავთ. არ არის ხაზეინი, ფაბრიკანტი რომელთაც მუშების ორგანიზაციების და თავისუფლების მოსპობა-შევიწროება შეეძლოთ.

ამის და მიუხედავად დღევანდელი ჩვენი „მფარველი“ პოლიგრაფიული განყოფილება გაცილებით მეტს ექსპლოატაციას ეწევა შრომაზე, ვინემ ძველი ხაზეინები და არავითარ ანგარიშს არ უწევს მუშების უნუგეშო მდგომარეობას. ქართული ანდაზა ამბობს: „თხა ყანას უყურებდა, ღობეს კი არაო“, პოლიგრაფიულ განყოფილებას მხოლოდ თვალში მარტო პური ჰქონია აღებული. მუშას თუ პურის მეტი რამ უნდა, იმას არა ფიქრობს; მგონი მუშებს ყავს ცოლი, შვილი, დედმამა დები და ძმები, ზოგს პატარეები, დიდებს ხომ სხვისი შენახვა არ უნდათ. ყველა ეს გარემოება პოლიგრაფიამ მხედველობაში უნდა მიიღოს და მუშების ჯამაგირის რყევას ბოლო მოუღოს. რატომ ჯამაგირების სტატისტიკას არ ნახავენ, სადაც ყველა წაიკითხავს, რომ ერთი მუშა არ არის, რომ ვალი არა ჰქონდეს თუ პოლიგრაფიისა, არამედ კერძო პირებისაც კი. ამ ვალს კი მუშა საიდან გაისტუმრებს, თუ პოლიგრაფია სისტემატიურად მოუკლებს მუშებს ჯამაგირს და გამგეებს ინსტრუქციას უგზავნის, მუშებმა ვალები გაასწორონ, ვისაც ზედმეტი აქვს წაღებულიო, მართლაც თვის ბოლოს მუშები ხელცარიელი მიდიან ცოლშვილთან—დანაღვლიანებული და ბოღმით სავსე. ვინ გიგდებს ყურს! არავინ. სხვისი ჭირი ღობეს ჩხირიო—ასე ამბობს ჩვენი პოლიგრაფია. მუშების ინტერესების დაცვაც ასეთი უნდა, პურის ფასმა დაიწია ბაზარზე, მორჩა და გათავდა ყველაფერი, ბაზარზე პური გაიაფდა.— ჩვენი „მფარველი“ და ინტერესების დამცველი პოლიგრაფია მაშინვე ჯამაგირს ეცემა დასაკლებად, სხვა თუ რამე ესაჭიროება მუშას და მის ცოლშვილს ოჯახში პურის მეტი, ვერ წარმოუდგენია. ასე ესმის და იცავს პოლიგრაფია მუშათა ინტერესებს და განაგებს მათ ბედ იღბალს. საჭიროა ჯეროვანი ყურადღება მიექცეს მუშათა მდგომარეობას და ანგარიში გაუწიონ მის ოჯახურ მოთხოვნილებებს, ყურით ისმინონ და თვალით იხილონ და ასწონ დასწონონ მუშების მდგომარეობა, რომ ისინი გაჭირვებიდან იხსნან. კმარა, ძველი დრო აღარ არის, გოლდმანების და ხელაძეების გზასა და კვალს ნუ ადგიხართ, მაშინაც კმაროდა მუშების აბუჩად აგდება..

ტევტონი.

—

**რედაქციისაგან.** ვბეჭდავთ ამხ. ტევტონის წერილს, რათა საშუალება მივცეთ აზრის გამოთქმისა. თუმც მისი საყვედური პოლიგრაფიის მიმართ არა სწორს ცნობებს ემყარებოდეს: რამდენადაც ჩვენ ვიცით, ხელფასის საკითხი საზოგადოთ, და კერძოთ ბეჭდვითი საქმის მუშების, წესრიგდება საყოველთაო ტარიფის და კოლექტიური ხელშეკრულების მიხედვით. ჯამაგირები თუმცა მცირეა, მუშეთა საჭიროებას სანახევროდაც ვერ აკმაყოფილებს, მაგრამ პოლიგრაფიულ განყოფილებას არ შეუძლია საერთო წესის დარღვევა, მით უმეტეს, თუ წარმოების ნივთიერი პირობები არ იძლევა ამის შესაძლებლობას. ყოველ შემთხვევაში, მუშებს საშუალება აქვთ თვალყური ადევნონ პოლიგრაფიული განყოფილების მდგომარეობას და ამისდამიხედვით მოითხოვონ მდგომარეობის გაუმჯობესება: მაგ. „ჩვენ ცნობა გვაქვს, რომ უკანასკნელად განზრახული დაკლება ხელფასისა საქონლის ფასების დაცემასთან შეფარდებით, შეჩერებულ იქნა პოლიგრაფიული წარმოების მუშათა კავშირის ცენტრალური გამგეობის წინადადებით და პოლიგრაფიულ განყოფილების თანხმობით.

რედაქცია.

# სახალხო კომისართა საბჭოში

**ეკონომიური წარმომადგენლობა თურქესტანში.**

სახალხო კომისართა საბჭოს უკანასკნელ სხდომაზე საჭიროდ იქნა ცნობილი თურქესტანში, ხივაში და ბუხარაში ეკონომიური წარმომადგენლობის დაარსება. ასეთ წარმომადგენლად დაინიშნა ამხ. გიგინეიშვილი და მის თანაშემწეთ ამხ. შუბლაძე. ამხ. გიგინეიშვილს წინადადება მიეცა შეუთანხმდეს საქართველოს ეკონომიურ სახალხო კომისარიატებს წარმომადგენლობისათვის საჭირო საშუალების გამოსაძებნათ.

**დახმარება სამხედრო პირებს.**

სამხედრო და საზღვაო სახალხო კომისარის მოხსენებით, სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა გაუწიოს დახმარება ფულით სამხედრო მოსამსახურეთ. ავადმყოფობისა და სხვა უბედურ შემთხვევების დროს, მხოლოდ იმ ნორმით, რომელიც გამომუშავებული იქნება შრომის სახალხო კომისარიატის მიერ.

**ხალხ. განათლების კომისარიატს.**

სახალხო კომისართა საბჭომ წინადადება მისცა სახალხო ბანკს მისცეს სახალხო განათლების სახალხო კომისარიატს 1.200.000.000 მანეთი კინო წარმოებისათვის.

**პოლონელთა კლუბი.**

პოლონელთა მუშათა კლუბის გამგეობის შუამდგომლობით უკანასკნელს მიეცა 25 მილიონი მანეთი სახალხო კომისართა საბჭოს საშუალებიდან.

**დადგენილებანი.**

სახალხო კომისართა საბჭოს უკანასკნელ სხდომაზე მიღებულ იქნა დადგენილება ოქრო-ვერცხლის, ძვირფასი ქვების და უცხოეთის ვალიუტის რესპუბლიკაში თავისუფალი ტრიალის შესახებ და აგრეთვე დამტკიცებულ იქნა მიწად მოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ წარმოდგენილი დეკრეტის პროექტი მეფუტკრეობის შესახებ.

**ახალი სატარიფო განაკვეთების შესახებ.**

სახალხო დაწესებულებათათვის ახალი ტარიფის შემოღების საკითხის შესახებ სახალხო კომისართა საბჭომ იქონია მსჯელობა და დაადგინა წინადადება მისცეს უმაღლეს სატარიფო საბჭოს სასწრაფოდ გადასინჯოს ყველა დღემდე დადებული სატარიფო ხელშეკრულებანი და აგრეთვე სასწრაფოდ შეიმუშაოს და წარმოადგინოს სახალხო კომისართა საბჭოში დადგენილების პროექტი ყველა სახელმწიფო დაწესებულებათათვის ერთიანი სატარიფო განაკვეთის შემოღების შესახებ.

**კრედიტების გახსნა.**

სახალხო კომისართა საბჭოს უკანასკნელ სხდომაზე გაეხსნათ კრედიტები: შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს 1.000.000.000 მანეთის რაოდენობის ფოსტა-ტელეგრაფის ხარჯების დასაფარავად და ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს მიეცა 100 მილიონი მანეთი გადაუდებელ ხარჯებისათვის.

**სახალხო სამმართველოების შტატები.**

სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დამტკიცებულ იქნა შტატები ხარაგოულის, ბორჯომის, ქოდალის, ნაოღალევის, წალკის, ლაგოდეხის და აბაშის სახალხო სასამართლოთა და გამომძიებლების სულ 32 კაცით.

## სამწუხარო მოვლენა

მოქ. ბრუსშტეინის მოთაოსნობით ერთად ერთი სკოლა სასცენო ხელოვნების—სახელმწიფო დრამის რეჟისორის ამხ. აკაკი ფაღავას ხელმძღვანელობით არსებული დრამატიული სტუდია გადმოყორცნილ იქმნა ქუჩაში.

ჩვენთვის გაუგებარია რად უნდა ქონდეს ადგილი ასეთ მოვლენებს ჩვენში ნუ თუ განათლების კომისარიატს არ შეუძლიან ისე მოაგვაროს საქმე, რომ ერთის ბედნიერება მეორეს უბედურებაზე არ იქნეს აგებული?

მოქ. ბრუსშტეინისა და კამპანიის ინტერესები თუნდაც მაღალ ფრაზებსა და ახალ მოდის მანტიაში გახვეული განა თვალებს უნდა უბრმავებდეს ვისმე?

დღეს მათ სურთ—მაღალი დაწესებულების ფირმით იოლად ფონს გავიდნენ თორემ სად რუსთაველის თეატრის სარკანი დარბაზი და სად ბიბლიოთეკა და სამკითხველო განათლების მუშაკთა კავშირისთვის! მკითხველებმა წიგნებს უცქირონ, თუ სარკეებში იყურონ? ან კი [illegible] „...კ—კლასს“ ხომ არ გამართავენ შიგ. მეორე ოთახი ამ შენობისა—საკონცერტო დარბაზი—ესეც, როგორც სამკითხველო და ბიბლიოთეკა სრულიად გამოუსადეგარია. იმდენ წიგნებს, გაზეთებს და მკითხველებს მთელი ტფილისის განათლების მუშაკნი რომ ერთად შიგ მიიყვანონ იქ მაინც ვერ გაავსებენ და აბა რისთვის უნდა მიადგეს პირდაპირი ზარალი ქართული დრამის და ისეც განათლების კავშირისათვის სრულიად უსარგებლოდ? ძროხას უნაგირს ნუ შევადგამთ ამხანაგებო, თორემ სასაცილოს მეტი არ გამოვა რა.

დარჩა ორი ოთახი, სადაც მართლა შეიძლება სამკითხველო და ბიბლიოთეკის მოწყობა, მაგრამ იმავე ბიბლიოთეკის და სამკითხველოს მოწყობა განათლების მუშაკთა კავშირისათვის შეიძლება ბევრგან სხვაგან თუნდაც რომელიც გნებავთ იმ ტეხნიკუმში, ისე რომ ზედმეტი დაბრკოლები არ მივაყოლოთ თან და ქართული დრამა და სასცენო განათლება არ დავაზიანოთ.

ბრუსშტეინისათვის არ არის საინტერესო იხეირებს ქართული დრამა თუ არა, არც ის არის საჭირო, რომ ოდესმე განათლებული სცენის მუშაკნი გვეყოლოს, მაგრამ ჩვენთვის ეს სასურველია და როდესაც ჩვენმა მთავრობამ საგანგებო დეკრეტით მოახდინა ნაციონალიზაცია ყოფ. არტისტ. საზ—ბის თეატრისა—მოტივად ეს მოიყვანა: სასცენო ხელოვნების განვითარებისა და დაყენებისათვის მოხდეს ხსენებული შენობის ნაციონალიზაციაო. მართლა საზოგადო განათლებაც ხელს უწყობს სასცენო ხელოვნებას, მაგრამ საზოგადო განათლებისა და მის მუშაკთათვის არის სხვა შესაფერისი ბინები, ხოლო ქართული დრამისა და სასცენო განათლებისათვის ყველაზე უფრო შესაფერისი და საჭირო ხსენებული შენობა.

ამისათვის განათლების კომისარიატს მართებს სიფრთხილე, რომ ერთი ხელით ის არ აანგრიოს, რასაც მეორე ხელით აშენებს. თავის დროზე განათლების კომისარიატის სათანადო უწყებამ მიაქირავა სტუდიას ბინა, ხოლო როცა იგივე განათლების კომისარიატი „რაბისპროს“ აძლევდა იმავე ბინას, არც კი გაახსენდა იქ სტუდიის არსებობა.

ჩვენის აზრით აუცილებელია და მიზან შეწონილი დრამატიული სტუდია დარჩეს თავის ადგილას და მიეცეს მას საშუალება განვითარებისა და წარმატებისა, ხოლო „რაბის პროსს“ განათლების მუშაკთა სახლისათვის გამოეჩინოს სხვა ბინა.

დარწმუნებული ვართ მთავრობის თავმჯდომარე და ცეკა კომპარტიისა სამართლიანად გაარჩევენ ამ ინციდენტს და აღადგენენ სასცენო ერთად-ერთი სკოლის შელახულ უფლებებს.

სტუდიელი.

## დადგენილებანი №№ 34 და 35

ამ დღეებში გამოქვეყნდა საქ. ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს ორი დადგენილება (№№ 34 და 35), რომლებიც შეიცავს მუშა მოსამსახურეთა სამსახურიდან დათხოვნის წესებს, პირველი—სახელმწიფო და მეორე კერძო სამსახურიდან.

ერთი შეხედვით ამის შესახებ საჭირო არ იყო ორი დადგენილების გამოცემა, მაგრამ თუ მიიღებთ მხედველობაში მიზანს, რომელსაც ისახავენ აღნიშნული დადგენილებანი, მაშინ სულ სხვაა.

ორივე დადგენილებით, როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სამსახურში მყოფ დასათხოვნ მუშა მოსამსახურეს გაფრთხილება უნდა მიეცეს 15 დღით ადრე. წინააღმდეგ შემთხვევაში დათხოვნისას მათ უნდა მიეცეს სრულად ჯამაგირი, მაგრამ იმ დროს, როდესაც კერძო მუშა მოსამსახურე მეორე დადგენილების (№ 35) თანახმად ღებულობს სალიკვიდაციოს 1—4 თვის ჯამაგირის ფარგლებში, პირველი დადგენილებით (34) სახელმწიფოს მუშა-მოსამსახურე ვერავითარ სალიკვიდაციოს ვერ მიიღებს.

მაშასადამე ამ მხრით გაცილებით უკეთეს მდგომარეობაში არიან კერძო, ვიდრე სახელმწიფოს მუშა მოსამსახურე ამას თუ კიდევ დაუმატებთ საერთოდ სამსახურის პირობების უპირატესობის კერძო წარმოება—დაწესებულებაში, მაშინ ადვილი გასაგები იქნება ის სწრაფვა, რომელიც არსებობს სახელმწიფო სამსახურიდან კერძო სამსახურისაკენ!

ამ მოვლენას ადგილი ქონდა ჯერ კიდევ მენშევიკების დროს და სამწუხაროდ ეს გრძელდება დღესაც. ეს გარემოება თანდათანობით სისტემატიურად აცლის სახელმწიფოს ხელიდან ენერგიით სავსე მუშებს. რამდენ მასწავლებელსა თუ სხვა მოხელეს შეხვდებით დღეს კერძო სამსახურის მაძიებელს! რაშია საქმე? ერთი შეცდომა ისაა, რომ თვით სახელმწიფო სამსახურის პირობებიც არაა ერთნაირი ყოველგან, ცენტრშიაც კი,—რაც შეეხება პროვინციას, იქ სამსახურში ხომ მთლად საქველმოქმედო ხასიათი აქვს მიღებული.

მაგრამ თუ ეს ოდნავ მაინც „გასამართლებელია“ დღევანდელ პირობებში, ყოვლად დაუშვებელია, რომ კერძო წარმოებაში სამსახურის უკეთესი პირობები იყოს, ვიდრე სახელმწიფო წარმოებაში. საბჭოთა სისტემის ნიადაგზე მდგომი სახელმწიფოს ზრუნვის საგანს უნდა შეადგენდეს მუშა-მოსამსახურეთა დაცვა არა მარტო კერძო მწარმოებლის [illegible], არამედ თვით სახელმწიფომაც უნდა შეამციროს თავის მადა და არ უნდა გაიტაცოს ის ზედმეტი ღირებულების მიღებამ.

საქმის ინტერესი მოითხოვს, რომ ეს ასე იყოს, პრინციპიალურადაც სხვანაირად შეუძლებელია. ის, რასაც დაუშვებს ბურჟუაზიული სახელმწიფო, არ უნდა იქნეს დაშვებული სოციალისტური სახელმწიფოს მიერ.

თუ კერძო მწარმოებელს შეუძლია ოდნავ მაინც გააუმჯობესოს მუშა-მოსამსახურეთა მდგომარეობა სახელმწიფოს კარნახით და ეს არ იქნება საზიანო წარმოებისათვის, მით უფრო ეს უნდა შეეძლოს სახელმწიფოს, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ უპირატესობას, რომელიც აქვს მას.

მართალია სახელმწიფო იძულებულია დაინტერესდეს ზედმეტი მოგებით წარმოებიდან, რადგან მას აქვს შესანახი ბევრი არა საწარმოო დარგი, რომლის შენახვა სწორედ ამ მოგების ხარჯზედ უნდა მოხდეს. მაგრამ ამასთან ერთად სახელმწიფოს აქვს ბევრი ისეთი შემოსავალი, რომლებიც სულ სხვა პრინციპზე აგებული,—მაგ. სხვა და სხვა სახის გადასახადი, აუარებელი მოგება საგარეო ვაჭრობის და მრ. სხვ., ყოველ შემთხვევაში უნდა გამოინახოს ისეთი საშუალება რომელითაც სახელმწიფოს მუშა-მოსამსახურეთა მდგომარეობის გაუმჯობესება შეიძლებოდეს.

დადგენილებანი №№ 34 და 35 სულ სხვა შთაბეჭდილებას სტოვებს.

ამიტომ ეს ორი დადგენილება უნდა გაერთიანდეს დადგენილება № 35 საფუძველზე.

მ. ხ.

## როდემდის უნდა დარჩეს ასე?

ხშირათ იწერება გაზეთ „ტრიბუნაში“ სხვა და სხვა [illegible] ბა ჩვენს სახელმწიფოში ქართველი ელემენტის მიმართ და მეც მინდა ერთს ასეთს მაგალითს მივაქციო მკითხველი საზოგადოების ყურადღება: მთლიანი მუშათა კოოპერატივის უწყება შეიცავს მომსახურეთა რამდენიმე ასეულს, რომელთა შორისაც—ქართველები არ აღემატებოდა შემცირებამდე ერთს ან ორ ოცეულს, ასე რომ ქართველი ელემენტის სახე ხსენებულ კოოპერატივში ძლიერ მკრთალია ჯერ მისი სიცოტავის და მერე უმნიშვნელო თანამდებობათა დაკავების გამო. ადგილობრივი კომიტეტი შესდგება არა ქართველ პირთაგან—ერთია ქართველი რასაკვირველია ობიექტიური და სუბიექტიური პირობებს გამო აქტივობას ვერ იჩენს.

რაც შეეხება ადმინისტრაციას ე. ი. გამგეობის, იქაც სჭარბობს ანტი ქართველური მიმდინარეობა. ამ ორ ორგანოთა შორის მოქმედებაში სრული ჰარმონიაა, ასე რომ პირველი იმყოფება მეორის პირდაპირ გავლენის ქვეშ რასაც გადასწყვეტს მეორე—პირველისათვის ეს უდაო ჭეშმარიტებას შეადგენს და უკრიტიკოთ არის მის მიერ მიღებული. აი ასეთი სურათი ნათელჰყოფს, თუ რა დონეზე იქნება დაყენებული ამ უწყებაში მოსამსახურე ინტერესების დაცვა საერთოდ და კერძოთ კი ქართველებისა. ჩემ აქ სამსახურის დროს ორჯერ მოხდა შემცირება, მეორეში მოვყევი მეც. შემცირება—უნდა ითქვას მართალი და შემცირებულთა სიებიც დაარწმუნებს ყოველ მოქალაქეს ჩატარდა სავსებით ქართველების ხარჯზე. არავითარი პროპორცია, არავითარი საზომი აქ დაცული არ არის. მოხდა პირდაპირ ქართველების ხარჯზე სამსახურის გარეშე დატოვება. დაგითხოვენ ყოვლად უმიზეზოთ დროებით ვითომ და სპობენ იმ თანამდებობას რაზედაც შენ მუშაობდი და როცა შენგან განთავისუფლდებიან—აღადგენენ მას და აყენებენ უცხოს. თუ არა ხარ პარტიაში ჩაწერილი—მათის გაგებით შენ ხარ მენშევიკი და უნდა დათხოვნილი იქნე რახან ქართველი ხარ სამსახურიდან არავითარი კანონ—ლოღიკა, არავითარი სამართლიანობა მათ მოქმედებაში არ გამოსჭვივის.

მამცირებენ და ვთხოვ ისევ ადგილ კომს მაცნობონ მიზეზი ჩემი დათხოვნისა—დაეკითხონ მთელ შტატს მოსამსახურეებისას—თუ ერთი ადმინი ვარ, როგორც პოლიტიკურში, ისე სხვა რაიმე დარგში—ამაზე ისინი სდუმან და თავჯდომარეც, რომელიც მოკლებულია ყოველივე პროფესიონალური და პოლიტიკური მომზადებას, დაცინვით გვპასუხობს: „ისეირნეთ თავისუფლად“. სად არის კანონი? როგორ უნდა შეურიგდე იმ გარემოებას, რომ ოჯახში სტუმარი გეწვიოს, მას 3 ნძელი კარში გაგაგდოს—თავად შიგ მოიკალათოს, და შენი დოვლათი—სიმდიდრე ისე მოიხმაროს, როგორც მას უკარნახებს მისი შინდამი ზიზღი—შენ კი ქუჩაში ხელფიალით, შენი ცოლშვილით სიმშილით სული ამოძვრეს.

რაშია საქმე? სანამ იქნება ეს ასე? სად არის პროფესიონალური ორგანოები, რატომ არ აქცევენ ყურადღებას მთლიან მუშათა კოოპერატ. გამგეობის და ადგილ კომის მოქმედებაში ყოველ ნაბიჯზე ჩადენილ უსამართლობას? მოითხოვეთ შემცირებულთა სიები და დარწმუნდებით ზემო დაწერილის სიმართლეში—თუ რა მდგომარეობაშია აქ ქართველი უპარტიო მუშა მოსამსახურე. მე თუ ქართველი ერი მიყვარს ამით ნურავინ დამწამებს კონტრ-რევოლიუციონერობას.

ჩვენ ვცხოვრობთ საბჭოთა საქართველოში—ისეთს საქართველოში—სადაც ყოველივე დარგში მკაფიოთ და ნათლად უნდა იყოს დაცული ყოველი ადამიანის პიროვნება და მდგომარეობა მიუხედავათ იმისა არის ის კომუნისტი —თუ იმყოფება იმ პარტიის გარეშე. ვიდრე ეს ასე არ იქნება, ქართველი მოქალაქე შორს გაგვექცევა და მას ვერ ჩავითრევთ საალმშენებლო საქმეში, ვინაიდან ის აბუჩად ვინმეს მიერ აგდებას ვერ შეურიგდება. ამ გარემოებას უნდა მიექცეს ჯეროვანი ყურადღება, როგორც მთავრობის, ისე საერთოდ კომპარტიის მიერ.

უპარტიო მუშა.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი



ეროვნული ბიბლიოთეკა